საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია · ხუთშაბათი, 19 ივნისი 1919 წ. · პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! · № 133

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 მანეთი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

დუშეთის მაზრის კომიტეტი სოციალდემოკრატიული პარტიისა ამით აცხადებს, რომ 19 თიბათვეს ქ. დუშეთში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი შარშან მაზრაში აჯანყების დროს ვერაგულად დახოცილ ამხანაგების

პეტრე ავლახაშვილის, საშა რიკაძის და

გორა ნაგლიაშვილის

სულის მოსახსენებლად.

მამა ივანე, დედა დარო, ძმა ლადო, და ნინო, მეუღლე სოფიო, შვილები: ვახტანგი და თამარი, ბიძა ისაკი, ბიცოლა მაგრაფინე და ბიძაშვილი თამარა ალხანაშვილები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

პეტრე ივანეს ძე ალხანაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 19 ივნისს დილის 8 საათზე ბინიდან (ბასეინის № 43), დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2—2)

ღრმად დამწუხრებული ბიძა ისაკი, ბიცოლა მაგრაფინე, ბიძაშვილი თამარა ალხანაშვილები და მამიდა ნინო გოგინაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

პეტრე ივანეს ძე ალხანაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 19 ივნისს დილის 8 საათზე ბინიდან (ბასეინის № 43) დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ზენია, მამა გიორგი, დები სონია, ნინო ბაქრაძე შვილით არჩილით და ელენე ჟურულიშვილი; მეუღლე სოფიო ივანეს ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ბოროტგანმზრახველებისაგან ვერაგულად იქნა მოკლული

იოსებ გიორგის ძე მახარაძე

პანაშვიდი ხუთშაბათს 19 ივნისს საღამოს 6 საათზე. ცხედრის გამოსვენება მოხდება პარასკევს 20 ივნისს, დილის 10 საათზე, თავისი ბინიდან პრიუტინსკის ქ. № 2, წმ. მარინეს ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

დიდად დამწუხრებულნი შვილები: ნიკოლოზ, ვანო, ეკატერინე ლოლაშვილისა, მარიამ არეშიძისა, რძლები ნინო, ეკატერინე, სიძე მოსე არეშიძე, შვილის შვილები ილია ლოლაშვილი, ალექსანდრე არეშიძე და შვილის-შვილის შვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 17 ამა ივნისს გარდაიცვალა მათი საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი 120 წლის მოხუცი

გრიგორი ივანეს ძე გოგინაშვილი

გასვენება მოხდება ხუთშაბათს 19 ივნისს დილის 10 საათზე ნაძალადევის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს გალავანში ნაძალადევი—ლოტკინის ქ. სახლი № 45

დამწუხრებული: მეუღლე მატრო ექვთიმეს ასული, შვილები: პლატონი ცოლშვილით, ვლადიმერი, კატო, ანეტა, ნადია, ნინო და სონია. სიძეები: ყარამან პყონია, გურგენ გიგინეიშვილი, [illegible], ეფრემ ხუნდაძე და შალვა ცინცაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 16 ივნისს გარდაიცვალა მათი საყვარელი

ვახტანგ ზურაბის ძე კალოიანი

რომლის გამოთხოვება და დასაფლავება მოხდება 19 ივნისს დილით ხუთშაბათს სოფ. ნიგოზეთში საგვარეულო სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი [illegible] სურას ასული, მიხეილი და ქეთევან ლომიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველის დაუვიწყარი მეუღლის, მეორესი ძვირფასის შვილის, მესამესი დაუვიწყარი მამის

ფილიპე ლომიძის

რომლის გასვენების დღე არის დანიშნული შაბათს 21 ივნისს ნაშუადღევის 8 საათზე სოფელ საყულიაში, საკუთარ სახლიდან

კვირა, ივნისის 22

მესხეთ-ჯავახეთის დღე

დიასახლისი ქ-ნი მ. რამიშვილისა. ქართული კლუბი. 2—2

ახალი ავანტიურა

ბოლშევიკებმა უკვე მოხსნეს ძველი ენა. მათ ლენინის თეზისებით დაიწყეს და საკუთარი თეზისებით დაათავეს. ლენინს არ მოსწონს დემოკრატიზმი, რადგან იგი ანარქისტულ აზროვნების მტერია. მის ქვეშევრდომ ეპიგონებსაც არ მოსწონთ დემოკრატია და საბჭოთა მთავრობის ქადაგებაში არიან.

ლენინის საფართზე, რომლის გამო მათ ასე გაბედულად წამოაყენეს თავი, მხოლოდ საბაბი შეიქნა მათთვის რევოლუციის გამარჯვებული და მუშათა დემოკრატიის დამღუპველი ლოზუნგების წამოსაყენებლად.

„ყველგან და ყოველთვის მუშებმა და გლეხებმა ნაცვლად [illegible] და დემოკრატიის მომატყუებელი ლოზუნგისა: ორიენტაცია დემოკრატიული", უნდა წამოაყენონ თავისი რევოლუციური ლოზუნგი „ორიენტაცია საბჭოებისადმი". (ხაზი ჩვენია).

დემოკრატიის მომატყუებელი ლოზუნგი: ორიენტაცია დემოკრატიული, ე. ი. დემოკრატიის დაყრდნობა თავის ძალებზე და თავის წყობილებაზე.

დემოკრატიას თურმე წყენს ის, რაც არის დემოკრატიული და მოუხდება ის, რაც არის ანარქისტული: „ორიენტაცია საბჭოების", ე. ი. შექმნა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის ნაცვლად წმინდა კლასიური ორგანიზაციების, მათთვის უჩვეულო ფუნქციების დაკისრება, რამაც უკვე სისხლის მორევში ჩაცურა რუსეთი და მთელ მუშათა კლასს დღემდე მხოლოდ დაუსრულებელი მსხვერპლები მისცა, შემდეგში კი უარეს მსხვერპლებს და დამარცხების აუცილებლობას უქადის.

„ერთი დემოკრატიული ფრონტი თავდაცვისათვის". აი რა არის შინაარსი „დემოკრატიული ორიენტაციის" ამბობს „ვოლნა"-ს მეთაური და თან უმატებს:

„ეს არის უხასიათო, უნაყოფო, ფიქტიური, ეს არის ორიენტაცია ილუზიის და ცარიელი ფრაზის, ეს არის ორიენტაცია „სოციალ-შოვინისტების" უმოქმედობის, ესაა დაბოლოს კონტრ-რევოლუციური, რადგან იგი მიმართულია პროლეტარიატის წინააღმდეგ". აქამდე თუ სჯეროდა ვინმეს ბოლშევიკების სურვილი გაერთიანებისადმი—დღეიდან ეს რწმენა უნდა გაუქმებულიყო, „ერთი მთლიანი ფრონტი—კონტრ-რევოლუციური მაჯგუფება, იგი ბოლშევიზმს არ ეგუება. ბოლშევიზმი—განხეთქილების ცემლემაა და აბა შეერთების იდეას როგორ შეეგუება? და „კაცმა პირი მალოს, ქორმა თავი არ დამალოს", ნათქვამია. ბოლშევიკებმა მალეს თავის სიძულვილი, მაგრამ სიძულვილმა მაინც გადმოხეთქა მათი გაზეთის ფურცლებიდან. ბ-ნი ზურაბიშვილი, ფოთელი ესერები და სხვა უპასუხისმგებლო პირები, რუს ჩინოვნიკებთან და საქართველოს დემოკრატიის სხვა მტრებთან ერთად ტყუილად კი არ [illegible] ბოლშევიკების ლოზუნგს, ტყუილად კი არ გაჰყვნენ მათ სისხლიან დროშას.

ამ ავანტიურისტებმა იცოდნენ, რომ დემოკრატიის წინააღმდეგ იქ იშოვიდნენ „რევოლუციურ" იარაღს და გარეშეთ მაინც ზნეობრივ გამართლებას თავის არაწმინდა კონტრ-რევოლუციონერულ, ბნელით პროვოკატორულ მოქმედებისათვის.

ბოლშევიზმის წიაღში ყოველ ავანტიურისტს აქვს ბინა და იგინი ახლაც მათ ამოუდგნენ გვერდში. ამიერ კავკასიის მუშათა გაერთიანების წინა დღეებში ისინი კვლავ სთესენ ამ ღვარძლს, რომელმაც დაღუპა რუსეთი, და რომლითაც ახლა ჩვენს ქვეყანას უპირებენ დაღუპვას. ჩვენ მოვუწოდებდით საქართველოს დემოკრატიას ფხიზლად მოუპყრას თავის რევოლუციურ მონაპოვართ. წინედ ვამბობდით: ლენინის საფართზე ჩვენთვის ზურგიდან ხმლის ჩასაცემად გამოიყენებენ მეთქი. ახლა ეს მართლდება. ბოლშევიზმს უკვე აღარ სურს ერთი ფრონტი დემოკრატიის, აღარ სურს „ორიენტაცია დემოკრატიული". იგი საბჭოთა ორიენტაციისაკენ მოგვიწოდებს.

რას ნიშნავს ეს „საბჭოთა ორიენტაცია"? სოციალისტური მთავრობის ჩამოგდებას, სახელმწიფო ორგანიზაციის დარღვევას, თავისუფლების მოსპობას და სისხლის ღვარების დაყენებას შინ—საქართველოს შიგნითვე, რაც გარეშე ძალას, დენიკინს, ჩვენს დაპყრობას გაუადვილებს.

ბათუმის დაცემის დღეებში ეს ვაჟბატონები პროვოკატორულად, ოსმალეთის აგენტებთან ერთად ესროდნენ ზურგიდან ჩვენს დემოკრატიას „საბჭოთა ორიენტაციის" სახელით. ახლა დენიკინის მომხრეებთან და დამოუკიდებლობის მტერ იმპერიალისტებთან ერთად ესვრიან თავს ზურგიდან ჩვენს დემოკრატიას.

და ნუ თუ არ შეიძლება ამ ლენინის მიმდევართ ისე მოვექცეთ, როგორც ლენინი მოექცა რუსეთში სოციალდემოკრატებს?

თუ თქვენ ოცნებობთ „საბჭოთა მთავრობაზე", იოცნებეთ, მაგრამ თუ თქვენ გინდათ ჩვენს რესპუბლიკაში ამ იდეის რეალიზაცია, ე. ი. ბოლშევიკური ანარქიის თესვა, ნურას უკაცრავად, სჯობს იქ მიბრძანდეთ, სადაც ახლა ანარქია მთელი ძალით ბატონობს. მიბრძანდით სოვდეპიაში.

ჩვენ არ გვსურს აქ გვერდში გვყავდეს ისეთი მეზობლები, რომელნიც ზურგში მახვილის ჩასაცემად ემზადებიან. მუშათა კლასმა უნდა დაგმოს ეს დამღუპველი პოლიტიკა. მისმა წარმომადგენლებმა უნდა აამხედრონ ხალხი და დემოკრატია ამ მღვრიე ტალღების მოსასპობად ჩვენს ქვეყანაში.

„არ გათეთრდება ყორანი, რა გინდ რომ ხეხო ქვიშითა" და არ გასწორდება ბოლშევიკი, რაც უნდა ტკბილი სიტყვებით და რევოლუციური მეგობრობით შეეგებო მას. მორიელის თვისება კბენაა. ბოლშევიზმის თვისება ღალატი და განხეთქილებაა. და ჩვენ უნდა ეს შინ აბრეგნი პირველად ყოვლისა გავხადოთ უვნებელი ჩვენთვის. გარეშე მტერს მაშინ ადვილად გავუმკლავდებით.

შეთანხმების სახელმწიფონი და რუსეთი

როგორც ბოლშევიკური რადიო, ისე საფრანგეთიდან მოსული დეპეშები გვატყობინებს, რომ შეთანხმების სახელმწიფოებს მოუწონებიათ ის პასუხი, რომელიც მათ მიიღეს ადმირალ კოლჩაკისაგან მის მომავალ პოლიტიკურ გეგმისა და განზრახვების შესახებ, და დათანხმებულან აღმოუჩინონ მას დაპირებული დახმარება იარაღით, ამუნიციით და სურსათით".

იმ რყევის და ცვალებადობის პოლიტიკაში, რომელსაც შეთანხმებული სახელმწიფოები აწარმოებენ რუსეთის მიმართ, ეს ფაქტი ერთი ერთი მომენტად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ვიცით ჩვენი ქვეყნის მაგალითებიდან, როგორი ნაკლებ იცნობენ საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის მესვეურნი შორეულ ქვეყნებს, რა შეუსაბამო ცნობებს აწვდიან მათ ზოგიერთი მათი ადგილობრივი წარმომადგენელი. საფრანგეთის პარლამენტის ანგარიშებიდან სჩანს, რომ თვით გარეშე საქმეთა მინისტრს თითქმის წარმოდგენაც კი არ ჰქონია შესახებ იმისა, თუ რა ხდება ამ ჟამად რუსეთში. ამ გაურკვევლობას უნდა მიეწეროს, სხვათა შორის, ის ცვალებადობა, ის პოლიტიკური ხაზის უქონლობა, რომელმაც აშკარად თავი იჩინა ამ უკანასკნელ ხანებში დიდ სახელმწიფოთა მმართველ წრეებში.

ადმირალ კოლჩაკის ცნობა და მისთვის დახმარების აღთქმა, როგორც აღნიშნული წყაროებიდან სჩანს, გამოწვეულა შემდეგ მოსაზრებებით: 1) კოლჩაკი უკვე საკმაოდ ძლიერია, „მის ხელში უპყრია ძალა უფლება მთელს ციმბირზე"; 2) შეთანხმების სახელმწიფონი იმედოვნებენ, რომ კოლჩაკი ბოლშევიკებს დაამარცხებს; 3) კოლჩაკი „წესიერებას აღადგენს" რუსეთში; 4) ამ გზით შეთანხმების სახელმწიფონი შეიძლებენ რუსეთს გადაახდევინონ ის უზარმაზარი ვალი, რომელიც მას აღებული აქვს დასავლეთ სახელმწიფოებიდან. შეთანხმების სახელმწიფოთ მესვეურნი, რომ კარგად იცნობდნენ რუსეთის შინაურ ვითარებას, ისინი რომ შეუმოწმებლად არ ღებულობდნენ კოლჩაკის აგენტებისაგან და თვით კოლჩაკისაგან მიღებულ ცნობებს, მიხვდებოდნენ, რომ არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი საბუთთაგანი არ შეესაბამება სიმართლეს: 1) კოლჩაკი არ არის ერთად-ერთი ბატონ-პატრონი ციმბირისა, იქ მოქმედებს მისი მოწინააღმდეგე ძალები, რომლებთანაც კოლჩაკს განუწყვეტლივ ბრძოლა უხდება: დავასახელოთ თუნდაც ის ძალები, რომელიც სემიონოვის გარშემო შემოკრებილა. 2) არავითარი სერიოზული საფუძველი არა აქვს იმ იმედს, რომ კოლჩაკი [illegible] დაამარცხებს ბოლშევიკებს; უკვე წელიწადზე მეტია რაც ბოლშევიკებს და კოლჩაკს შორის ბრძოლაში გამარჯვება ხელიდან ხელში გადადის, ხან ბოლშევიკები გადარეკენ კოლჩაკის ჯარებს ურალის ქედს იქით, ხან კოლჩაკი მოიტანს იერიშს და ვოლგამდის მოიყვანს თავის ჯარებს. უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში, მართალია, საბჭოს ჯარები საგრძნობლად შეავიწროვეს ყოველ მხრით, მაგრამ სულ უკანასკნელი ცნობების თანახმად ბოლშევიკები ისევ წელში გამართულან და კოლჩაკის ჯარები ქ. უფამდის მიურეკიათ.

3) „წესიერების აღდგენას" კოლჩაკის გამარჯვება რუსეთს ვერ მოუტანს. პირიქით, ის რეაქცია, რომელიც მოაქვს რუსეთისათვის კოლჩაკის ჯარებს, სწორედ აძლიერებს რუსეთში ანარქიას და არევ-დარევას. დღეს ყველასათვის, ვინც საქმეში ჩახედულია, ცხადია, რომ ბოლშევიზმი კოლჩაკის და მის მიმდევრების რეაქციამ გააძლიერა რუსეთში. რუსეთის ხალხი, ეჭვი არ არის, ბოლშევიკურ ანარქიას ბევრად უფრო ადვილად მოიშორებდა, რეაქციონური ძალები რომ არ ემუქრებოდნენ მის მშრომელ ხალხს, რომელსაც რევოლუციამ, სხვა რომ არა ვთქვათ რა, მიწა მაინც მისცა. კოლჩაკის არმია თვით არის ანარქიის და არევდარევის წყარო და „წესიერებას" იგი ვერავის მოუტანს.

4) ყველა ზემო აღნიშნულ მოსაზრებათა გამო სრულიად საფუძველს მოკლებულია ის იმედი, თითქოს კოლჩაკის საშუალებით დასავლეთ სახელმწიფოები შეიძლებენ რუსეთს ვალი გადაახდევინონ.

შეთანხმების სახელმწიფოების მესვეურთა მიერ საქმის გაუცნობლობა იქამდის მიდის, რომ მათ ჰგონიათ, რომ კოლჩაკი ერთნაირ პროგრესიულ პროგრამის მატარებელია. როგორც სჩანს, მათ დაუჯერებიათ კოლჩაკის უზ-

ᲓᲦᲔᲡ

საზავო ხელშეკრულების ახალ ტექსტში ცვლილება არ მომხდარა.

საზავო კონფერენციიდან ორლანდოს დაბრუნების შემდეგ მოწვეულ იქმნა იტალიის სენატი.

პარიზში გაფიცვები დამთავრდა.

ბერლინში გაფიცვები დაიწყო.

მარშალ ფოშმა განაახლა გერმანიის ტერიტორიაზე პოლონეთის ჯარის გადაყვანა.

ინგლისის საზღვაო დივიზია კრონშტადტს ყუმბარებს უშენს. ბოლშევიკებმა კრონშტადტის ახლოს ნაღმები ჩააწყვეს.

რაღაც სიტყვიერი დაპირება, რომ იგი, ბოლშევიკების დამარცხებისთანავე, დაუყონებლივ დამფუძნებელ კრებას მოიწვევს და ძველ წესების აღდგენას არ შეუდგება. ჩვენ აქ უკეთესად ვართ გაცნობილი, რას წარმოადგენენ კოლჩაკი და მისი მეგობრები: თვით კოლჩაკის „მანიფესტიდანაც", მის გენერალ-აგენტების იდეოლოგიური განწყობილებიდანაც, იმ მუქარიდანაც, რომელსაც „მოღალატე" „ინოროდცებს" უგზავნიან დღესვე მისი ჯარების მხედართ-მთავრები და მრავალ სხვა ფაქტებიდანაც ვიცით, რომ სრულიად სამართლიანად უთქვამს პარიზში ჩასულ ზოგიერ სოც.-რევოლიუციონერს ზენზინოვს:

„მთელს პოლიტიკას აწარმოებენ კოლჩაკის გარშემო შემოკრებილი პირები, რომლებიც მტკნარი რეაქციონერები არიან და რომლების სიტყვებსაც ერთი ბეწვადაც ვერავინ დაუჯერებს.

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

17 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მდივანი კ. ჯაფარიძე კითხულობს გერმანელ კოლონისტების მიერ დამფუძნებელ კრების სახელზე გამოგზავნილ ადრესს, რომლიდანაც ირკვევა, რომ ამიერ-კავკასიაში ყოფილა სულ 17 კოლონია, აქედან 9 იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. 100 წლის შესრულების გამო გამართულ იუბილეზე გერმანელ კოლონისტებს დაუდგენიათ ადრესი მიართვან დამფუძნებელ კრებას და მხურვალე სალამი უძღვნან მას. კრება განცხადებას და ადრესს ტაშის ცემით ხვდება.

თედო ხოდოლაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი შემდეგი კანონებისა: უქმე დღეების რიცხვის შემცირების შესახებ, სასინჯავ სამმართველოს, საზომსაწონ პალატისა და დეკრეტისა—1 მილიონ 500 ათას მანეთის გადადების შესახებ საქონლის ჭირის ასაცრელ შრატის დამზადებულ სადგურის გასაფართოებლად ქუთაისში.

დეკრეტი ახალ-ციხე და ახალ-ქალაქის მაზრების მცხოვრებთათვის 2 მილ. მანეთით დახმარებისა.

მომხსენებელი გ. ანჯაფარიძე აღნიშნავს იმ კრიტიკულ მდგომარეობას, რომელშიაც ამ ჟამად იმყოფება მესხეთ-ჯავახეთი სურსათის და სხ. საჭირო საქონლის უქონლობის გამო და რომელიც გამოწვეულია შარშან ასკერების შემოსევით, წელს კი სერვერ-ბეგის მიერ მოწყობილ აჯანყებით და საბიუჯეტო საფინანსო კომისიის სახელით მოითხოვს, რომ მესხეთ-ჯავახეთის დასახმარებლად გადადებულ იქნას 2 მილ. მანეთი. მასთან მომხსენებელი გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ ამ კუთხეებს აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება, რითაც კი ეს შესაძლებელი იქნება.

დამფუძნებელი კრების წევრთა დიეტა.

მომხსენებელი ივ. ჭავჭანიძე აღნიშნავს, რომ დამფუძნებელი კრების მუშაობის ნაყოფიერებისთვის საჭიროა დეპუტატი მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შესძლებს თავის მძიმე მოვალეობის პირნათლად ასრულებას. დღევანდელი დიეტა მეტად მცირეა და იგი აუცილებლად გადიდებული უნდა იქნეს. მართალია, ზოგიერთები ამას სადემაგოგიო მასალად გამოიყენებენ, მაგრამ ჩვენი დემოკრატია იმდენად შეგნებულია, რომ ამ დემაგოგების ანკესზე არ წამოეგება. ამას გარდა მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ დეპუტატს დამფუძნებელი კრების წევრის მოვალეობაც აკისრებს ზოგიერთ ხარჯების გაწევას: იგი მოვალეა დრო გამოშვებით მოიაროს საარჩევნო ოლქი, ინახულოს ამომრჩევლები, გაიგოს მათი ჭირი და ლხინი და სხვა. ამნაირად, დეპუტატი მიღებულ დიეტის საგრძნობ ნაწილს ხარჯავს არა თავისი კერძო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ—მოვალეობის ასასრულებლად. საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის აზრით დიეტის მინიმუმი 8000 მანეთი უნდა იქნეს. ამაზე ნაკლებად დეპუტატი ვერ შესძლებს თავისი მოვალეობის პირნათლად ასრულებას.

სოც.-დემ. ფრაქციის შესწორება შეაქვს 8000 მ. მაგივრად დაწესებულ იქნას 2,500 მ. ეს შესწორება მიღებულ იქნა.

ივ. ჭავჭანიძისვე მოხსენებით მიღებულ იქნა კანონპროექტი საშუალო სასწავლებლებისათვის ავანსის 150 მ.—1000 მანეთამდე გადიდების შესახებ.

სოც.-ფედერალისტების შეკითხვა.

სოც.-ფედერალისტთა ფრაქცია ეკითხება მთავრობას—იცის თუ არა მან, რომ ვიღაც ნათიშვილი აღგენს ბათუმში „ამიერ-კავკასიის მკვიდრთა კრებას" და თუ იცის, რა ზომებს ღებულობს, რომ ბათუმი არ გადაიქცეს ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველ ბაზად დენიკინისათვის და ჩვენი საზღვრები დაცულ იქნას. შეკითხვას ასაბუთებს ს. მდივანი, რომელიც აღნიშნავს, რომ ბათუმი ეს საქართველოს ორგანიული ნაწილია, საქართველოს უბათუმოდ ცხოვრება არ შეუძლია და მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იღონოს, რომ ძალით წართმეული ბათუმი, ისევ დაუბრუნდეს თავის ნამდვილ პატრონს და თუ მემკვიდრეობაზე მიდგება საქმე, მაშინ მიუცილებლად უდავო მემკვიდრედ ბათუმისა საქართველო უნდა იქნას აღიარებული. შემდეგ ორატორი ეხება მოკავშირეთა სარდლობის ორპირულ პოლიტიკას ამიერ-კავკასიაში და იმ გარემოებას, რომ მათ აქვთ ორი სია, ერთი იმ ერთა, რომლებიც მათ მეგობრებად მიაჩნიათ, მეორე კი მათი მტერი—ერებისა. სანამ ასეთი დაყოფა ერთა და შეხედულება არ შეიცვლება, ამბობს ორატორი, ჩვენ შორის მეგობრული განწყობილება არ განმტკიცდება, მოკავშირეთა სარდლობამ, როდესაც აქ ფეხი შემოდგა, აშკარად განაცხადა, რომ მათი მიზანია ოსმალეთის და გერმანელების განდევნა და მათ მიერ დაპყრობილ ადგილების დროებით დაკავება. ეს ასე არ მოხდა. ყარსი მათ სომხებს გადასცეს, მიუხედავად იმისა, რომ სომხები ყარსზე არც კი ოცნებობდნენ, ჩვენ კი ჩვენი ორგანიული ნაწილიც არ მოგვეცა. განსაკუთრებით საყურადღებოა ვიღაც მოღალატე გენ. ნათიშვილის მიერ გამოცემული განცხადება ბათუმში, სადაც ის აღგენს „ამიერ-კავკასიის მკვიდრთაგან კრებას", ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის ამ კრებას ვერ შეადგენს, მაგრამ შეიძლება ხიზნებისაგან შეადგინოს და ამიერ-კავკასიის სახელით დაიწყოს მოქმედება. აი ყველაფერი ეს იმიტომ გამოვთქვით, რომ გავიგოთ, თუ რა ზომებს იღებს მთავრობა, რომ ბათუმი არ გადაიქცეს დენიკინის ბაზად ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე ჩვენი საზღვრები სასტიკად უნდა იქნას დაცული, რათა ყველა შავ-რაზმელს არ შეეძლოს აქ თავის შეფარება. დღესვე უნდა დაისვას ამიერ-კავკასიის შემოერთების საკითხი.

გ. გვაზავა. (ნაც. დემ.) ამბობს, რომ ბათუმი რომ ჩვენთან არის ყოველნაირად შეკავშირებული, ამას მტკიცება არ უნდა, მხოლოდ სამწუხაროა ის, რომ მთავრობა არ იღებს ზომებს მის შემოსაერთებლად. ბრესტის ხელშეკრულებით ბათუმი ოსმალეთს გადაეცა, მაგრამ ეს ხელშეკრულება მოკავშირეებმა გააბათილეს, ლოღიკური დასკვნით ამ გაბათილებას უნდა მოყოლოდა ჩვენთვის ბათუმის დაბრუნება; ორატორს არ მოსწონს მთავრობის მიერ აღებული პოლიტიკური ხაზი და მოითხოვს მის შეცვლას. მთავრობამ, ამბობს ის, თავისი მოქმედება უნდა შეუთანხმოს მოკავშირეთა დემოკრატიულ პოლიტიკას. ორატორი ილაშქრებს აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ირ. წერეთელი დაესწრო სოციალისტურ კონფერენციას ამსტერდამში.

საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხი.

ევგ. გეგეჭკორი აღნიშნავს შეკითხვის სერიოზულობას და ამბობს: შეკითხვას იმდენად სერიოზული ხასიათი აქვს, რომ მთავრობა ფიქრობდა აქ, თქვენს წინაშე, აღენიშნა საკითხის ფაქტიური მხარე და წამოეყენებინა ის ხაზი, რომლითაც ის მოქმედებაში ივლიდა, არავითარ შეხლა-შემოხლას, პოლემიკას ადგილი არ უნდა ჰქონოდა, მით უმეტეს, გვაზავას გამოსვლას არავითარი საბუთი არ ჰქონდა, გარდა თვით ლაპარაკის პროცესისა, მხოლოდ ლაპარაკის სტიქია, როდესაც გვაზავა ამბობს, რომ მთავრობას არაფერი გაუკეთებია ბათუმის შემოერთების საქმეში. პირველი დებულება ბ. გვაზავასი შემდეგია: მთავრობამ მოკავშირეებს ბათუმის კითხვა არ დაუყენა ისე, როგორც უნდა დაეყენებინა, არ აღუნიშნავს მოკავშირეთა წინაშე, რომ ბრესტის ხელშეკრულებით იყო ბათუმი ოსმალეთისათვის გადაცემული და როცა ეს ხელშეკრულება გაბათილდა, ბათუმი საქართველოს უნდა დაუბრუნდეს. ეს მართალი სრულებით არ არის. კიდევ 18 იანვარს, როცა მოკავშირეებმა ფეხი შემოდგეს საქართველოში, ჩვენ მათ წავუყენეთ ნოტა, სადაც ჩვენ ვამბობდით, რომ ბათუმი საქართველოს განუყრელი ნაწილია, საქართველოს მთავრობას უბათუმოდ საქართველო ვერ წარმოუდგენია. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველომ ბათუმის დასაცავად აუარებელი სისხლი დაღვარა, ეს იმ დროს, როდესაც გერმანია გამარჯვების ზენიტზე იყო და ოსმალეთს ზურგს უმაგრებდა. ჩვენ ვითხოვდით ეს ქალაქი ჩვენთვის დაებრუნებინათ, 15 თებერვალს ჩვენ ვწერდით, რომ საქართველოს მთავრობა და ხალხი მოელის თავის სამართლიან მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

როდესაც ჩვენი ჯარი დამარცხდა, ბათუმიდან ბევრი ქართველი გამოიქცა და ჩვენ ვითხოვდით ლტოლვილებს საშუალება მისცემოდათ თავიანთ კერაზე დაბრუნებისა. ჩვენ ვაცხადებდით, რომ, ვინაიდან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით ბათუმის ოლქი ჩამოგლიჯეს საქართველოს და ეს ოქმი იყო მიმართული თვით მოკავშირეთა წინააღმდეგ და რადგანაც ეს ხელშეკრულება გაბათილებულია, ბათუმი საქართველოს უნდა დაუბრუნდეს. ყველა ეს ნოტები ხელში ჰქონდა ბ. გვაზავას და რათ დასჭირდა დღეს აქ ისეთი უსაფუძვლო საყვედურის წამოსროლა, მე არ ვიცი (გვაზავა ადგილიდან: ეს მართალია, მაგრამ პარიზის კონფერენციაზე რა გააკეთეთ?) ჩვენ ამ პოზიციაზე ვდგევართ, როგორც აქ, ისე ყოველგან, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ჩვენს დელეგაციას არ მისცემია საშუალება კონფერენციაზე წარმდგარიყო. (გვაზავა: რით აიხსნება.). გვაზავა იმით ხსნის ამას, რომ იქ სოციალისტები არიან გაგზავნილნი. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, მოქალაქენო, რომ გვაზავა დელეგაციის საქართველოდან გამგზავრების წინ სწერდა და ამბობდა, რომ თუ სოციალისტები გაგზავნეთ, კონფერენციაზე არ დაუშვებენო. მაგრამ თქვენ ხედავთ და გვაზავამაც იცის, რომ სოციალისტები დაუშვეს; მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში ბ. გვაზავას ალაპარაკებს მხოლოდ პარტიული ინტერესები, ვინაიდან ობიექტიური მხარე საქმისა საბუთს არ გვაძლევს ასეთი გამოსვლისა. დღეს მის აქ გამოსვლას, უნდა ვსთქვა, რომ გლახა სუნი უდის, ერთი რომ სიმართლეს ღალატობს და მეორე, ამ გამოსვლით ის ხალხის ინტერესებსაც ღალატობს. თუ ვინმეს უდევს ბრალი ბათუმის დაცემაში, ეს იმათ, ვინც იმ ხანებში სხვანაირად სწერდენ. (ტაში).

ჩვენი ნოტის საპასუხოდ გენერალ რაბინოვსკის (დენიკინელია) ბათუმის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნის შესახებ, 4 ივნისს შემდეგი პასუხი მივიღეთ: გენერალი კუკოლსკი რჩება ბათუმის გენერალ-გუბერნატორად და არავის უფლება არა აქვს, გარდა ბრიტანეთისა, ბათუმი ვინმეს საწინააღმდეგო ბაზად გამოიყენოს და სხვ.

შემდეგ ორატორი ეხება მთავრობის ხაზს და ამბობს, რომ მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რომ ბათუმი, რომელიც საქართველოს სხეულს ძალით ჩამოგლიჯეს, ისევ შეუერთდეს მას. ამ ხაზს ადგია მთავრობა და ის არ გადაუხვევს მას, სანამ ხალხის ნდობით სარგებლობს. ჩვენ კიდევ არ დაგვეკარგავს იმედი, რომ ინგლისის სარდლობა დარწმუნდება იმაში, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს უდავო ნაწილია და ჩვენ დაგვიბრუნებს მას, ჩვენ დღემდე დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი პოლიტიკური ხაზი იმარჯვებს როგორც აქ, ისე ევროპაში და ჩვენ ვკმაყოფილდებოდით დიპლომატიური გზით, ახლაც ამ ხაზს ვადგევართ, მაგრამ თუ დენიკინი, ან სხვა ვინმე ჩვენს წინააღმდეგ რაიმე მოქმედების წინაშე დაგვაყენებს, ჩვენ ამ ფაქტის წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მივიღებთ.

შემდეგ ორატორი უპასუხებს გვაზავას ირ. წერეთლის ამსტერდამის კონფერენციაზე დასწრების შესახებ და ამბობს, რომ ჩვენმა დელეგაციამ თავისი წმინდა მოვალეობა შეასრულა, სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო. ჩვენმა მოთხოვნილებებმა სიმპატია უნდა მოიპოვოს საერთაშორისო დემოკრატიის თვალში. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი. ბ. გვაზავა ლაპარაკობს დემოკრატიულ პოლიტიკაზე, მაგრამ ის სულ სხვა შინაარსს სდებს ამ „დემოკრატიულ პოლიტიკაში". ჩვენთვის დემოკრატიული პოლიტიკის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა დემოკრატიამ მჭიდრო კავშირი გააბას სხვა ქვეყნის დემოკრატიასთან (გვაზავა: ინტერნაციონალის საშუალებით?) დიახ, ინტერნაციონალის საშუალებით.

ჩვენი პოლიტიკა აშკარაა, ჩვენ გვსურს შევინარჩუნოთ ხალხს თავისუფლება და ვაზიაროთ ევროპის კულტურას. ამიტომ ჩვენ არ მივიღებთ გვაზავას რჩევას. ბ.კ.

(დასასრული იქნება)

ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ

ფრონტი დიდი ბავშვია: მას მცირედი გაამხნევებს და მცირედი დააღონებს.
ვ. ჯუღელი.

ცოცხალ ჯაჭვივით აკრავს გარს ჩვენს ქვეყანას მის საუკეთესო შვილთა გულ-მკერდი. ისინი, ვისაც სათუთი, მგრძნობიარე სინიდისი და ვაჟკაცური შეგნებულობა მოსვენებას უფრთხობს, სანამ სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია, თვეობით და წლობით დგანან ტყვიისა და სიკვდილის პირის-პირ.

ვინ არიან ისინი?

ვისაც თვის გულში სიყრმიდან ჭაღარამდე ჩაგრულთა განთავისუფლების წმინდა იდეა უზრდია, და განთავისუფლებული საქართველო უყვარს, როგორც განთავისუფლებული ჩაგრულთა ნავთ-სადგური.

ვისაც მრავალ წლობით უიმედო ნატვრათ დასტრიალებდა თავს სამშობლოს სიამაყის აღდგენის წარმტაცი ოცნება.

აგრეთვე ისინი, ვისი ნორჩი ფიქრი აღიზარდა და მომწიფდა თავისუფლების მძლავრი ქროლვის დროს, ვისთვისაც სამშობლო წარმოუდგენელია, თუ არ დამოუკიდებლობის ნათელი სხივით მოსილი.

იქ, ჩვენი ქვეყნის შვილთა სისხლით მორწყულ საზღვრებზე, სდგას ერთი აზრით, ერთი გრძნობით გადაჯაჭვული საქართველო. იქ ჩვენი სახელოვანი, მაგრამ უდროო სიკვდილის მოლოდინში არიან, ვინც სამარცხვინო, ნაძრახ სიცოცხლეს ვერ შეურიგდება. მრავალმა დახუჭა სამუდამო სიცოცხლის წყურვილით ანთებული თვალები.

მრავალი დასახიჩრდა, მრავალი სულითა და სხეულით დასნეულდა გამოუბრუნებლად.

იმათგან უნდა ისწავლოს ჩვენმა საზოგადოებამ მოვალეობის ასრულება: აქაც ერთი მძლავრი აზრით და გრძნობით უნდა გაიმსჭვალონ საქართველოს შვილნი—ყველანი განურჩევლად.

ქართველი საზოგადოება არ უნდა გაექცეს მსხვერპლს, უმცირეს მსხვერპლს, იმ ფას დაუდებელ მსხვერპლის წილ, რომელსაც მას ფრონტი სწირავს.

ფრონტის დღეს საზოგადოების ყოველმა წევრმა უნდა გაიღოს, რის გაღებაც შესძლებს—ფული, პაპიროსი, სურსათი.

ფრონტის დღის მოსაწყობად საორგანიზაციო მუშაობაში თავის წვლილი უნდა შეიტანოს სუყველამ, ვისაც ცოტაოდენი უნარი მაინც შესწევს.

მივაწვდინოთ ფრონტს ჩვენი სიყვარულისა და მზრუნველობის ხმა!

ფრონტის დღის მოწყობის საორგანიზაციო კრება დანიშნულია პარასკევს, ივნისის 20-ს, საღამოს 6 ს. სასახლეში, ოთახი № 13—14.

დროებითი საორ. კომისიის წევრნი:
ქრ. შარაშიძის ასული,
ექ. მგალობლიშვილი,
ა. ცინცაძე,
ქ. ფოცხვერაშვილი,
კამ. გორგაძე.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

18 ივნისი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

პარიზში გაფიცვები გათავდა. პარასკევს კლემანსომ ინახულა ჯერ გაფიცულთა და შემდეგ ქალ. პარიზის და მუშების წარმომადგენლები. ზოგი პირობა მისაღებად იქნა აღიარებული და ზოგი კი უყურადღებოთ დასტოვა. კლემანსო გაფიცულთა მამულიშვილურ გრძნობას მიმართავდა და შეაგნებინა მათ სრული ერთობის საჭიროება.

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ. „ავტონბლადეტ"-ი იუწყება, რომ ინგლისის საზღვაო დივიზია ყუმბარებს უშენს ქ. კრონშტადტს, საიდანაც პასუხი არ გაუციათ. კრონშტადტის ახლო ბოლშევიკებმა ნაღმები ჩააწყეს, რათა დესანტის გადმოსხმას ხელი შეუშალონ. ფიქრობენ, რომ ბოლშევიკები ქალაქს დასცლიან.

ᲠᲝᲛᲘ. ივნისის 19 თვის სენატი მოიწვიეს. მეფემ ორლანდო მიიღო.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ოთხთა საბჭომ დაამთავრა თავისი მუშაობა. ხელშეკრულებას გერმანელებს ორშაბათს გადასცემენ. ახალ ტექსტში არაფერია შეცვლილი ზარალის ანაზღაურების და მისი რაოდენობის შესახებ. რეინის მარცხენა ნაპირის ოკუპაცია ძალაში რჩება, ხოლო ოლქის ადმინისტრაცია თვითმართველობების ხელში იქნება. ხელშეკრულება იმედს იძლევა, რომ გერმანია ახლო მომავალში იქნება მიღებული ხალხთა ლიგაში, სადაც ისინი თანაბარ უფლებებით ისარგებლებენ, განსაკუთრებით ეკონომიურ საკითხებში; ხელშეკრულების თანახმად საზავო მოლაპარაკების დასრულების შემდეგ დაიწყება საყოველთაო განიარაღება, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის.

მარშალ ფოშის ულტიმატუმის გამო გუშინ განაახლეს გერმანიის ტერიტორიაზე პოლონეთის ჯარის გადაზიდვა.

კლემანსოს ჩარევის გამო პარიზში ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა დამთავრდა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

როზა ლიუქსემბურგის დასაფლავების დღეს, არავითარი უწესოება არ მომხდარა. დაკრძალვას დაესწრო აუარებელი ხალხი და დეპუტაციები რუსეთიდან და უნგრეთიდან.

გერმანია-შვეიცარიის ახალ შეთანხმებას უკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწერეს ხელი ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა უნგრეთის საგარეო საქმეთა კომისარს ბელაკუნს უმავთულო ტელეგრაფით შემდეგი აცნობა: „რადგანაც ჩვენ მოქალაქეთ უნგრეთის თითქმის ყველა ქვეყნებში მფარველობას არ უწევენ, ჩვენ გადავწყვიტეთ მფარველობა არ გავუწიოთ არც ერთ უცხოელს, გარდა იმ სახელმწიფოთა მოქალაქეთ, რომელნიც ჩვენებს მფარველობას უწევენ. გამონაკლისს შეადგენენ ირლანდიელები, ეგვიპტელები და მოკავშირეთა ქვეყნების სხვა დევნილ ერების წარმომადგენელნი. „ლაიპციგერ ფოლკს ცაიტუნგ“-ის გამოცემა აღკრძალულია ახალ განკარგულებამდე.

სადეპეშო ცნობები.

მოსკოვი. ივნისს 17. **ხარკოვი.** ივნისის 14. აღმასრულებელმა კომიტეტმა ყველა მოქალაქეს 1000 მანეთი და მეტის კონტრიბუცია დაადო. 40 წლისაზე ახალგაზრდებს თხრილების გასაკეთებლათ იწვევენ. **ბერლინი,** ივნ. 9. ბერლინში ივნისის 7 მხოლოდ ორი გაზეთი გამოვიდა და ისიც შემოკლებული. ტრამვაის მოძრაობა სრულიად შესწყდა. ფოსტაშიც ნაწილობრივი გაფიცვაა. **ლონდონი,** ივნისის 14. ჩრდილოეთ რუსეთში მყოფ ამერიკის ჯარის სარდალი გენერალი მარში იუწყება, რომ არხანგელსკის ექსპედიცია სამი კვირის შემდეგ უკან წასასვლელად სრულიად მზად იქნება. **ლიონი,** ივნისის 14. პოლონეთის სეიმის სხდომაზე ებრაელების რბევის შესახებ ყველა ორატორი ამტკიცებდა, რომ ეს რბევა პროვოკატორებმა გამოიწვიეს იმ მიზნით, რომ ევროპის ხალხს ცუდი წარმოდგენა შეექნას პოლონეთის შესახებ და საერთაშორისო მდგომარეობა შეასუსტონ. სეიმმა რადიკალური პარტიის რეზოლუცია მიიღო, რომ რბევა გამოიწვია მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობამ.

ახალი ამბები

„ფრონტის დღე“. 17 ივნისს საღამოს სასახლეში შესდგა „ფრონტის დღის“ მოსაწყობად მოწვეული კრება, რომლის მიზანია გაუწიოს ნივთიერი და მორალური დახმარება ფრონტზე მყოფ ლაშქარს და გვარდიას. კრებას დაესწრნენ შემდეგ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები: დამფუძნებელი კრების, ქალაქის გამგეობის და საბჭოს, გვარდიის მთავარი შტაბის, სამხედრო სამინისტროს, ქართულ წითელი ჯვრის საზოგადოების, პროფესიონალურ საბჭოს, მუშათა კლუბის, თფილისის ს.-დემოკრატიულ კომიტეტის, გვარდიის ყველა კოლლექტიურ სარაიონო შტაბების და სხვათა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ აირჩია დროებითი „ფრონტის დღი“-ს მომწყობი კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი პირნი: დამფუძნებელ კრების წევრი ჩიტო შარაშიძის ასული, მეგალობლიშვილი, ცინცაძე, კოტე ფოცხვერაშვილი და პორ. გ. გორგაძე. დროებითი „ფრონტის დღის“ მომწყობი კომისია იწვევს ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და პარტიათა წარმომადგენლებს საერთო კრებაზე სასახლეში, პარასკევს 20 ივნისს საღამოს 6 საათზე.

◆ **სამხედრო ხელშეკრულება.** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მიიღო საქართველოს და აზერბეიჯანს შორის დადებული სამხედრო ხელშეკრულების ტექსტი, რომლის რატიფიკაცია დამფუძნებელ კრების მიერ მოხდება კვირას, 22 ივნისს, საგანგებო სხდომაზე.

◆ **ყალბი ფულების მომჭრელნი.** დუშეთის მაზრის კომისარი დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ დუშეთის მაზრაში მან აღმოაჩინა ყალბი ფულების მოსაჭრელი მანქანა და სხვადასხვა საღებავები, რომელთაც ამ დღეებში წარუდგენს შინაგან საქმეთა მინისტრს.

◆ **ხატისოვის ჩამოსვლა.** 16 ივნისს ერევნიდან თფილისში ჩამოვიდა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ალ. ხატისოვი.

◆ **ხაშურის ს. დ. ორგანიზაციის საყურადღებოთ.** საქართველოს ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს ხაშურის კომიტეტს დაუბრუნოს მარშან წაღებული პლეხანოვის დიდი ფოტოგრაფიული სურათი ჩარჩოთი.

◆ **ნ. რამიშვილის მოხსენება.** პარასკევს, 20 ივნისს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. ამხანაგებს სთხოვენ თან იქონიონ საწევრო წიგნაკები. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნოე რამიშვილი.

ქრონიკა.

დღეს საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— ხუთშაბათს 19 ივნისს საღამოს 6 საათზე დანიშნულია მორიგი მეცადინეობა მე-6 რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა.

— დღეს საღამოს 5 საათზე მე 6 რაიონის ბიუროს ბინაზე, ს. ს. დ. მ. პ. დანიშნულია ამავე რაიონის კოლლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 4 საათზე მე-6 რაიონის კოლლექტივის ბინაზე დანიშნულია ქალთა ორგანიზაციის მორიგი სხდომა.

დუშეთის მაზ. გლეხთა აჯანყების წლის თავი.

დღეს ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მტრებმა დუშეთის მაზრაში მოაწყვეს აჯანყება და საფრთხეში ჩააგდეს ჩვენი ჯერ ისევ ქორფა სახელმწიფო. არც ერთი მტერი არაა ისე საშინელი, როგორც ხალხის სიბნელე. ჩვენმა ორგულებმა და მუხანათებმა ეს მშვენივრად იცოდნენ და აკი შეეცადნენ კიდეც მგესლავი სი ენით იქ, სადაც ხალხი ყველაზე ბნელია და ჩამორჩენილი.

„ბნელსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო“, ნათქვამია და ამ ყალთაბანდებმაც ააშფოთეს ენებითა და ზაკვით მოკაზმული სიტყვებით დუშეთის მაზრის გლეხობა.

იშვიათი ბუნების პატრონია დუშეთის მაზრის გლეხობა. ჯერ შორს დაიჭერს ყოველგვარ სიტყვას, ხოლო თუ ყურად იღო და დაიჯერა, თავს გამოიდებს მის დასაცველად, ზღაპრულ ნების ყოფას გამოიჩენს. ამ ხასიათით აიხსნება, რომ ძველად დუშეთის მაზრა ქართულ კულტურის ერთ უმთავრეს ასპარეზად ითვლებოდა. ქსან-არაგვის ხეობა ნაპირები იყვნენ მოწმენი საქართველოს მრავალ საუკუნეთა ჭირისაც და ლხინისაც, აღორძინებისაც და ლიტანიობისაც.

ამისი უტყუარი საბუთი და ძეგლია მრავალ მატიანე და სიგელ-გუჯრების გარდა აგრეთვე ის აუარებელი და ფასდაუდებელი ციხე-კოშკები და ტაძარ-მონასტრნი, რომლითაც მოფენილია მაზრა. მაშინაც კი, როდესაც გადაწყდა ბედი ქართლისა, ქართლ-კახეთმა ქედი მოიხარა და დამორჩილდა მეცხრამეტე საუკუნის მიერ თავს მოხვეულ ახალ ბატონებს, დუშეთის მაზრის უმთავრესი ნაწილი—მთიულეთ-ხევი—არა წყნარდებოდა და ქარქაშში არ აგებდა მახვილს ამოწვდილს რუსეთის იმ ჯარის წინააღმდეგ, რომელსაც თან მოჰქონდა ძალმომრეობა და ყოველგვარი უფლებათა თავიანთი ტლანქი ქუსლებით გაქელვა...

თვალი დაუდგა იმ ძველ რეჟიმს, რომლის მოვალეობას მხოლოდ ის შეადგენდა, რომ სიბნელეში ჰყოლოდა ხალხი. სწორედ ამ გონებრივი სიბნელის ბრალია, რომ ასეთი სახელოვანი კუთხე ქვეყნის განვითარებაში გამოყრუვდა და გაიგუნდა, სწორედ ასეთი ჩამორჩენილი მხარე ამოირჩიეს ჩვენმა მტრებმა თავიანთ ბნელ ზრახვათა შესასრულებლათ და ამ კუთხის ბნელი ხალხი მოიწოდეს საქართველოს წინააღმდეგ.

რაღა თქმა უნდა, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში სიბნელეში მყოფი ხალხი ადვილათ მოტყუვდებოდა.

იგი მალე დაიჯერებს, თითქოს საქართველოს მთავრობა მტერი იყოს თავისუფლებისა და მშრომელი ხალხისა. იარაღი ახსმევინეს და საბრძოლველათ გამოიყვანეს. დაიწყო საშინელი ბრძოლა რესპუბლიკანურ ჯარსა და იმ ხალხის შორის, რომელიც ჰფიქრობდა რევოლუციონურ საქმეს ემსახურებოდა, ნამდვილათ კი კონტრ-რევოლუციონერთა გულებს ახარებდა. ამ ბრძოლის დროს არა ერთი და ორი მეომარი დაეცა უდღეოდ გულგანგმირული, მაგრამ ყველაზე თავ-ზარ დამცემი იყო გლეხების მიერ იქ აღმასრულებელ კომიტეტში და ორგანიზაციებში მომუშავე ჩვენი ამხანაგების პეტრე ბელოხაშვილის, საშა რიკაძის და გორა ნადელიშვილის მუხანათურათ დახოცვა.

ეს საშინელი მკვლელობა მოხდა დუშეთის მახლობლად, სოფ. ყვავილის განაპირას. სწორედ იქ, სადაც ახილა თვალები და დაერწა აკვანი ცნობილ დანიელ ჭონქაძეს, რომელმაც პირველმა აღიმაღლა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ და პირველმა სტყორცნა განმანადგურებელი ყუმბარა ამ საშინელ წესწყობილებას. რას იფიქრებდა დანიელი, თუ ერთ ჟამის შემდეგ მისივე სამშობლო აკვანი გარდაიქცეოდა გოლგოთად მათთვის, რომელნიც სწორედ „სურამის ციხემ“ გაზარდა სახელოვანი მებრძოლნი ტანჯულ-წამებულ გლეხკაცობისა?

არ იფიქრებდა ამას არც დ. ჭონქაძე და არც საშა, პეტრე და გორა. სწორედ ამისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელთ არა სჯეროდათ თავიანთი საყვარელი გლეხობის სიმხეცე და სულ იმას ცდილობდნენ როგორმე დაეშოშმინებინათ გაბრაზებულნი, ვიდრე ტყვიამ არ დაუდუმათ სიყვარულით მეტყველი ბაგენი.

ფრიად თავ გამოდება და სარისკიანობა დასჭირდა ჩვენს რესპუბლიკას, ვიდრე ამ ხალხს დააშოშმინებდა. ძნელი იყო მათი გულის მონადირება. იგინი ყოველგვარ თბილ და ძმურ სიტყვას მტრულად ღებულობდნენ. ღვთის წყალობა ღვთის რისხვათ ესმოდათ.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც არ დაგვიკარგნია იმედი. ჩვენ არ გვინდოდა დაგვეჯერა, თითქოს, როგორც ბევრი ამტკიცებდა, დუშეთის მაზრა საქართველოს ვანდეა იყო. მართალია თავისი შედეგებით კინალამ იგივე ნაყოფი მოგვიტანა, როგორც საფრანგეთის ვანდეამ, მაგრამ ის გულისთქმა, რომელიც ამოძრავებდა დუშელ გლეხობას, ძირიანად განსხვავდებოდა ვანდეელების გულისთქმისაგან.

მაშინ, როდესაც ვანდეაში გლეხკაცობა ფანატიკურ თაყვანებით იყო გატაცებული ბურბონების დინასტიისადმი და ყოველი გლეხი ოცნებობდა მონარქიზმის აღდგენაზე, როდესაც ვანდეელები ყურ-მოჭრილი მონები იყვნენ თავად აზნაურობა სამღვდელოებისა და მათ მისწრაფებათა გამომხატველი როიალისტების ქეიფისამებრ მოქმედებდნენ, აქ საქართველოში სწორედ თავად-აზნაურთა და მეფის მოხელეთა სიძულვილი აღელვარებდა ხალხსა და ეს სიძულვილი, ეს შიში იყო მიზეზი, რომ ჩვენი მტრები ბოროტად სარგებლობდნენ, ხალხს პროვოკაციის ქსელში ხვევდნენ და ჩვენს საამაყო შვილებს, რომელნიც ჩვენი რესპუბლიკის მესაჭეებად ითვლებოდნენ თავადების მომხრეებად აჩვენებდნენ.

მართლაც მაშინ საცა, რომელ სოფელშიაც არ უნდა შეხვედროდით, ყველას ის ეკერა პირზე, რომ მთავრობამ უღალატა ხალხსა და ძველი წყობილება აღადგინაო.

მე მწამდა, რომ, თუ როგორმე შევძლებდით დუშელ გლეხობის თვალების ახილებას და დაჯერებას, რომ იგი მოტყუებულია პროვოკატორებისაგან—იგი უეჭველად გარდაიქმნებოდა და იმავ ძალ-ღონით, რითაც მოახდინა ამბოხება,—შეუდგებოდა ცოდვების მონანიებას და შეცდომის გამოსწორებას.

გამართლდა ეს მრწამსი. დიდი ყურადღება მიაქცია სასოფლო კომისიამ ამ მიზანს და პროპაგანდისტების შემწეობით იწყო ხალხის მორჯულება, მოთვინიერება, გამოფხიზლება და ორგანიზაციულად დარაზმვა. დღეს სასოფლო კომისიის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მისმა მუშაობამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო და ეს საშიში კუთხე დუღაბით ამოშენებულ გალავნად გადაიქცა. ათი წლის განმავლობაში იმდენს ვერ გააკეთებდნენ ბროშიურები და თუნდა სკოლები, რამდენიც გაკეთდა ამ ერთი წლის განმავლობაში სასოფლო კომისიის მიერ. ერთი წელიწადი კიდევ რომ იმუშაოს ამ კომისიამ ასეთისავე ენერგიით, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლიც ვეღარ დაჰყეფს.

მარტო ის რაღა ღირს, რომ იქ გვარდიაში თავ-მოყრილნი არიან სწორედ ისინი, ვინც შარშან ტყვიით გვისაყვედურებოდნენ. გასულ გაზაფხულს, როგორც კი მიიღეს მთავარ შტაბის მოწოდება, ხალხი მოგვაშველეთ ფრონტისთვისაო—დუშეთის სამაზრო შტაბმა უმალ ორასი კაცი აფრინა თბილისს და სასახლის წინ ტ. შუშიაშვილის პირით განაცხადეს. შარშან მართალია დუშეთის გლეხობა იბრძოდა ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს შეუგნებლობის ბრალი იყო, ახლა მივხვდით, რაშიაცაა საქმე, და მზათაა ყველას მეტოქეობა გაუწიოს თავისუფლების სამსახურშიო, ლიტონი სიტყვა არაა ყოველივე ესა და ფრონტზე გაამართლეს აღთქმა. ეს გვარდიელები დღესაც მზათ არიან ვეფხვებივით ეკვეთნენ და ბედი აწყვეტინონ მტერსა და ორგულს ვერაფერს ამის მსგავსს ვერ ნახავთ ვანდეის ისტორიაში.

დუშეთის მაზრაში უფრო-ნაკლებოდ გამართლდა დიადი კაცის სიტყვები: მკვდრეთით აღდგენა იქმა შესაძლებელი, სადაც მრავალი საფლავებიაო.

განსვენებულ ამხანაგები საშა რიკაძის, პეტრე ბელოხაშვილის და გორა ნადელიაშვილის საფლავები გახდნენ დასაბამი კულტურული მუშაობისა, მათი სიკვდილის შემდეგ დაიწყო ძალთა დარაზმვა და გამოფხიზლება შავი ბნელი ზმანებისაგან.

დღეს, 19 ივნისს, დუშეთის მაზრის სოც.-დემ. ორგანიზაციათა კომიტეტი და სამაზრო შტაბი სახალხო გვარდიისა დუშეთში გამართავენ სამოქალაქო პანაშვიდს, მოაწყობენ შესაფერის მიტინგებს, შემოიკრებენ ჩვენი წმინდა დროშის ქვეშ ყველა მათ, ვინც შარშან შეუგნებლობით გვებრძოდა და ფიცს დაადებინებენ დაღუპულ ამხანაგების ხსოვნის წინაშე თავგამოდებით იბრძოლონ მტრის თვალის დასაბრმავებლად, სანამ არ ვეღირსებით იმ შრომისა და სიყვარულის სამეფოს დამკვიდრებას, რომლის ოცნებაშიაც ამოხდათ სული ჩვენს საამაყო ამხანაგებს.

დ. თურდოსპირელი.

საადგილ-მამულო რეფორმა

1 ივლისს მოწვეულ იქნენ სათათბიროთ ნაფარეულის რაიონის საგრარო კომისიის და ქვე-კომისიის წევრნი. თათბირს დაესწრნენ ნაფარეულის, ართანის, სანიორის, ფშაველის, ფიჩხოვანის, მაღრაანის, ლალის ყურის, ლეჩურის, ბაბანეურის, ლავანყურის და შაქრიანის კომისიის წევრნი, თელავის სამაზრო ერობის გამგეობის წევრი ნ. რამიშვილი, ერობიდან დანიშნული ინსტრუქტორი გ. თევდორაშვილი, ნაფარეულის რაიონის აგრარულ კომისიის მდივანი ნ. ცინცაბაძე და ერობის ხმოსნები დ. ხუციშვილი და ა. ჯინჭარაშვილი.

ერობის გამგეობის წევრმა რამიშვილმა კრებას გააცნო კანონი აგრარულ რეფორმისა. აუხსნა სიდიადე და მნიშვნელობა საქმისა, როგორ უნდა შეიკრიბოს ცნობები მიწის რაოდენობისა და ვინ რამდენი მიწით სარგებლობს ან როგორი სახის მიწებით, შემდეგ გადაცემა ამ მიწებისა ჯერ უმიწოთათვის, შემდეგ მცირე მამულებიანთათვის და სხ. შემდეგ კრებას წინადადება მისცა ემსჯელათ შემდეგ საკითხებზე:

1) დაყოფა რაიონებისა ქვე-რაიონებათ, 2) მოწყობა მცირე კომისიებისა, 3) ფუარგისი ტყეების გაჩეხვა და სახნავ-სათესად გადაქცევა ფონდის გადიდების მიზნით, 4) საეკლესიო, სამონასტრო, სახელმწიფო საიჯარო მიწების მიცემით, აგრეთვე ფონდის გადიდება. 5) ჩამოურთმეველ მამულის ჩამორთმევა, 6) დალების აკრეფა წლევანდელი მოსავლიდან, 7) კომისიას ყოველგვარი დახმარება, 8) მიწების საფასურის გამომუშავება, 9) ნორმის რაოდენობა, 10) სარაიონო კომისიის არჩევა და 11) სარაიონო კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

ამ საკითხების მუხლობრივ განხილვის შემდეგ კრებამ თვითეულ მუხლზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1) მთელი ნაფარეულის რაიონი დაყოფილ იქნას იმ სახით, როგორც უკვე შემუშავებულია და განხილული ერობის ხმოსანთა ყრილობაზე, მხოლოდ კომისიას ნება მიეცეს ნაფარეულის და ფშაველის უბნებში მოხდეს გადასვლ-გადმოსვლა, თუ, რასაკვირველია, ამას კომისია დაინახავს საჭიროდ. 2) ყველა სოფელში შესდგეს სასოფლო კომისია, რომელიც გამოარკვევს მცხოვრებთა და მიწის რაოდენობას, ვინ რამდენი, ან რა სახის მიწით სარგებლობს და ეს ცნობები უნდა გადაეცეს სარაიონო კომისიას. 3) კრებამ აუცილებელ საჭიროებათ დაინახა ფუარგისი ტყეების გაჩეხვა და მათი გამინდვრება, ვინაიდან სათესი მიწები ისე ნაკლებია, რომ მცხოვრებთ ნახევარზედაც ვერ დააკმაყოფილებს, რაზედაც აღძრულ იქნას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა. 4) აგრეთვე წინა მუხლში მოხსენებულ მიზნით აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რომ სათესი მიწებს მიემატოს საეკლესიო, სამონასტრო და სახელმწიფო საიჯარო მიწები საკუთრებათ გადასაცემათ. 5) უნდა აუცილებლივ მოხდეს ჩამოურთმეველი მიწების ჩამორთმევა, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს იგი. 6) ვინაიდან სახელმწიფო ქონებრივად საჭიროებს სურსათში, ფონდის მამულები ვისაც კი დახნული აქვს, აუცილებლივ გადაიხადონ დალა ამა 1919 წლისა სახელმწიფოს სასარგებლოდ. 7) რაიონში მომუშავე აგრარულ კომისიას მთელი რაიონის მცხოვრებნი ვალდებულნი არიან აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება ბინის და სანოვაგის შოვნაში, იარაღის გადატან-გადმოტანაში, მუდმივ მოსამსახურის და მუშაობის დროის მუშების მიცემაში და სხვ. 8) მიწის საფასურის გამომუშავების შესახებ გამოითქვა სხვადასხვა აზრი, გამგეობის წევრის ნ. რამიშვილის წინადადებას, რომ საფასური დესეტინა მიწაზე დაწესებულ იქნას 1000 მ., თითქმის ყველა უარყოფით შეხვდა. კრებამ სასურველათ სცნო მამულები განაწილდეს სამ კატეგორიათ; პირველ კატეგორიის მიწას დაედოს 500 მანეთი, მეორე კატეგორიისას—250 მან. და მესამისას 200 მან., ვინაიდან ნაფარეულის რაიონში მდებარე მიწები თავის ღირსებით ძლიერ დაბლა სდგანან, მაზრის სხვა მამულებზე, რომლისაც დასაბუთებელ იქმნა, როგორც ეხლანდელ ფულზე კურსის დაცემა და სახელმწიფოს მდგომარეობა შემოსავლობის მხრივ, კრებამ სასურველათ სცნო საფასური მიწისა იყოს 500 მ.-დან 1000 მ.-დე მიწების კატეგორიისდა მიხედვით. 9) საჭიროდ იქნა აღიარებული სულზე ნორმის დაწესება. 10) სარაიონო კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ არჩეულ იქნენ: 1) ნაფარეულიდან დავით ჩიკვაიძე და დარჩია ქობულაშვილი. 2) ართანიდან ვანო ნერგაძე. 3) სანიორიდან ეფრემ მიქელაძე. 4) ფშაველიდან თომა მაისურაძე. 5) ფიჩხოვანიდან სვიმონ ქელეხსაშვილი. 6) მაღრაანიდან თედო ნარიმანიძე.

11) წინა მუხლში ამორჩეულ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სვიმონ ჯიბუტი და ყრილობის ადგილად დაინიშნა სოფ. ფშაველი.

ს.-დემ. პარტიაში

საქართველოს ს. დ. მ. პ. თბილისის ორგან. მეორე რაიონული კოლლექტივის მოქმედების ანგარიში.

სარევიზიო კომისიამ საჭიროდ სცნო რევიზიის გადატანა კოლლექტივის ანგარიშებისათვის 1917 წლიდან, კოლლექტივი კი კრებას წარუდგენს თავის მოქმედების ანგარიშს, იმ დღიდან, როდესაც კოლლექტივის წევრთა არჩევნები მოხდა, ე. ი. 1918 წლის 3 ნოემბრიდან.—მას შემდეგ დღემდე კოლლექტივს 25 სხდომა ჰქონია. უნდა შემდგარიყო 29 სხდომა, არ შემდგარა ოთხჯერ და ეს იმიტომ, რომ გამოვიდა ისეთი დღეები, როგორიც იყო პირველი მაისი, დამფუძნებელი კრების და საქალაქო არჩევნების დღეები.

კოლლექტივის 22 სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. ნაცვლიშვილი ალექსანდრე, ორს ლ. ასათიანი და ერთს მინადორა ტოროშელიძე. პრეზიდიუმში შედიოდნენ: თავმჯდომარე ნაცვლიშვილი, თავმჯდ. ამხანაგი ლ. ასათიანი, რაიონის მდივანი თ. ხუხუნაიშვილი, ხაზინადარი ი. გოგელია და კოლლექტივის მდივანი ალ. გაჩეჩილაძე.

კოლლექტივის წევრთა უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო პარტიული მუშაობის გაძლიერებაზე და მიუხედავად მრავალ-გვარი დაბრკოლებებისა, კოლლექტივმა ცოტათი თუ ბევრად შესძლო ამ მხრივ გაეკეთებინა რამე. რომ უფრო ძლიერი კავშირი ყოფილიყო პარტიის წევრთა შორის, კოლლექტივმა გააფართოვა მცირე-კოლლექტივების მოქმედება. ამ ჟამად მთელს რაიონში ექვსი მცირე-კოლლექტივი მოქმედებს: არსენალის, ჩუღურეთის (მე-8 უბანში), კუკიის, ერთობის უბნის, რკინის გზის სამმართველოსი და ტრამვაის. ტრამვაის სადგომში არსებობს კიდევ პატარა ორგანიზაცია, რომელიც მცირე-კოლლექტივის უფლებით არის აღჭურვილი და პირდაპირი დამოკიდებულება აქვს კოლლექტივთან. სადგომის ეს ორგანიზაცია, ტრამვაის მცირე-კოლლექტივს განზრახვა აქვს შეერთების და შექმნან ერთი მცირე-კოლლექტივი მთელი ტრამვაისათვის. მცირე-კოლლექტივებში შედიან წევრები საზოგადო არჩევნების წესით წევრთა რაოდენობის მიხედვით. მცირე-კოლლექტივებს ყავთ არჩეული პრეზიდიუმი: თავმჯდომარე, მისი ამხანაგი და მდივანი. კრებები იმართება კვირაში ერთხელ. კრების ოქმებს და ყოველგვარ ანგარიშებს, მცირე-კოლლექტივები აძლევენ კოლლექტივს. კოლლექტივში დევს მცირე-კოლლექტივის მოქმედების ცალკე ანგარიში, სადაც ინახება, როგორც ოქმები, ისე საზოგადოთ კულტურული მუშაობის ყოველგვარი ანგარიშები.

მცირე კოლლექტივებს აქვთ საკუთარი ბეჭედი. კოლლექტივი საჭიროდ სთვლის აქვე აღნიშნოს ერთი სამწუხარო მოვლენა ზოგიერთი მცირე კოლლექტივების მოქმედებაში: ზოგან ვერ აწყობენ ჩვეულებრივ კრებებს, კვირაში ერთხელ, არამც თუ საზოგადო კრება ან სხვა კულტურული მუშაობა.—უნდა ითქვას, სამწუხაროდ, რომ ამ მხრივ მეტად ჩამორჩენილია არსენალის მცირე-კოლლექტივი და საჭიროა ამ არა სასურველ მოვლენას ყველა ამხანაგმა მიაქციოს შესაფერისი ყურადღება.—ერთობის უბნის მცირე-კოლლექტივი მართალია პარტიულად მუშაობს, კულტურული მუშაობაც სწარმოებს, მათის ინიციატივით გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი, სისტემატიურად მართავენ წარმოდგენებს, ლექციების კითხვას და სხვა, მაგრამ თავისი მოქმედების ანგარიშს კოლლექტივს ვერ აწვდიან.—ამ მცირე-კოლლექტივის ან კრების არც ერთი ანგარიში არ მოგვსვლია. ასეთივე მდგომარეობაა რკინის გზის სამმართველოს მცირე-კოლლექტივში, იქაც მუშაობენ ჩვენი ამხანაგები სხვადასხვა სექციებში და პროფესიონალურ კავშირში, ანგარიშებიც მოგვდის, მაგრამ ხშირი ექვსი კრების ერთად.—რომ შემდეგში რაიმე უწესრიგობას ადგილი არ ჰქონდეს, საჭიროა მცირე-კოლლექტივების მოქმედების ანგარიშები, ოქმების სახით, წარმოადგინონ კოლლექტივში. აღსანიშნავია ამ მხრივ ჩუღურეთის მცირე-კოლლექტივი, არ არის არც ერთი ლარგი საჭირ-ბოროტო საკითხებისა, რომ კრებაზე არ დასვან იგი, იმსჯელონ, გაარკვიონ და კრების დასაბუთებულ შეხედულებას ამა თუ იმ საკითხზე ოქმის სახით წარმოადგენენ ხოლმე მცირე-კოლლექტივში.—ამ მცირე-კოლლექტივის თაოსნობით გაიხსნა მე 8 უბანში სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება და სამკითხველო.

კუკიის მცირე-კოლლექტივი შედარებით ახალი დაარსებულია, მაგრამ ამხანაგების ენერგიულმა მოქმედებამ უკვე ნაყოფი მოიტანა—გახსნეს ჟურნალ გაზეთების კიოსკი, აწყობენ სცენის-მოყვარეთა წრეს და ამ დღეებში გადასცემენ მათ ავჭალის აუდიტორიას, სადაც სისტემატიურად მოაწყობენ ლექციების კითხვას, წარმოდგენების მართვას და სხვა.—ტრამვაის მცირე-კოლლექტივშიაც არის ცდა კულტურული მუშაობის გაძლიერებისა. ამჟამი ამხანაგების მუშაობა აღსანიშნავია ტრამვაის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირში. ყველა უბნებში მცირე-კოლლექტივების თაოსნობით ხშირად, თვეში ორჯერ, იმართება საზოგადო კრებები როგორც პარტიული, ისე მასსიური. ტრამვაის მცირე-კოლლექტივი თვეში ორჯერ აძლევს ჩვეულებრივ საზოგადო კრებებს—არა ჩვეულებრივაც ხშირია მომენტის მიხედვით.—რომ უფრო მთლიანი ხაზი ჰქონდეს მცირე-კოლლექტივების მოქმედებას, კოლლექტივი ხშირათ იწვევს მცირე კოლლექტივების შეერთებულ კრებას,—ასეთ კრებებზე ირკვევა საერთო საკითხები,—ხშირი იყო ასეთი კრებები დამფუძნებელი კრებისა და საქალაქო არჩევნების დროს,—და მართლაც მცირე-კოლლექტივების მეთაურობით, მთელს რაიონში, ამხანაგების დიდი ყურადღებისაბა მხურვალე მონაწილეობას იღებდა არჩევნების მუშაობაში და სწორედ ჩვენი ამხანაგების ენერგიულ მუშაობას უნდა მიეწეროს ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვება არჩევნებში. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მცირე-კოლლექტივების თაოსნობით იმართებოდა კრებები უბნებში, ამათ გარდა საზოგადო კრებებს იწვევდა ხოლმე კოლლექტივიც უფრო კი მაშინ, როცა მოქმედების საერთო გეგმა იყო შესამუშავებელი,—ასეთი კრებები უფრო ხშირათ არჩევნების დროს იმართებოდა ხოლმე.

კოლლექტივთან არსებობს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის ქალთა ბიუროს სახელით, რომელიც კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით, იკრიბება ხოლმე.

არის ერთი სამწუხარო მოვლენა, რომელმაც ამ წლის დასაწყისიდანვე იჩინა თავი: ეს არის საწევრო ფულის თავის დროზე გადაუხდელობა,—კოლლექტივის ბინა მუდამ ღია უნდა იყოს, მით უმეტეს ასეთ დროს, რომ ღია იყოს, ამისათვის კაცია საჭირო, ამას კი ხარჯი უნდა. ჩვენ კი ყოველ გვარ ხარჯს საწევრო გადასახადიდან ვფარავთ. ჩვენის აზრით საწევრო ფულის გადაუხდელობა უფრო დაუდევრობით აიხსნება და თუ ეს დაუდევრობა ასე გაგრძელდა, შესაძლებელია მეტად ცუდი შედეგი მოჰყვეს. ყველა ქარხანასა და დაწესებულებებში მომუშავეთ, მცირე-კოლლექტივების საშუალებით თავის დროზე შემოაქვთ ფული, მაგრამ თავის დროზე გადამხდელი ამხანაგები შედარებით ცოტაა.—ჩვენს რაიონში 3500 წევრამდე ითვლება და ამ წევრების თუნდ მესამედს მაინც თავის დროზე რომ შემოეტანოს საწევრო გადასახადი, მაშინ ამ საყვედურის თქმაც აღარ დაგვჭირდებოდა.

დასასრულ ორიოდე სიტყვა სარევიზიო კომისიაზე: 3 ნოემბრის საზოგადო კრებამ სარევიზიო კომისიაში აირჩია ამხ. კ. სალირაშვილი, ელბაქიძე და შაპირო. ელბაქიძე, მოგეხსენებათ, რუსეთის პარტიაში გადავიდა. შაპიროს კიდევ ვერ შესძლო რევიზიაში მონაწილეობა მიეღო, დარჩა ერთად წევრი ამხ. სალირაშვილი, რომელმაც, ორ ამხანაგთან ერთად,—ნიკოლაიშვილთან და ძაგნიძესთან მოახდინა რევიზია. ამ კრებამ უნდა აირჩიოს ორი კაცი სარევიზიო კომისიაში ამხ. სალირაშვილის გარდა.

შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1918 წლის 1 იანვრ. 1919 წლის 15 აპრილამდე:

კასაში იყო 1 იანვ. 1918 წ. 1048 მ. 65 კ. საანგარ. წლის განმავ. შემოვიდა: შემოსასვლელი გადასახადი 707 მ., საწევრო 16365 მ. 20 კ., შემოწირულება 1140 მ. 18 კ., საწევრო წიგნაკებიდან 590 მ., გაყიდული ბროშიურებ. 84 მ. სულ 19934 მ. 98 კ.

საანგარიშო წლის განმავ (15 თვე და ორი კვირა) დაიხარჯა: საკანცელარიო ნივთები 487 მ. 25 კ., სასტამბო 128 მ., ინვენტარი 853 მ., მცირე კოლლექტ. დახარჯული 128 მ. 40 კ., მოსამსახურეთა შენახვა 8869 მ. 50 კ., საწევრო წიგნაკები 620 მ., ბროშიურები 912 მ. 45 კ., საპროცენტო გადას. თფ. კომიტეტს 6825 მ. 75 კ., რჩება კასაში 15 აპრილისათვის 1860 მ. 68 კ. სულ 19934 მ. 98 კ.

თავმჯდომარე ალ. ნაცვალოვი.
მდივანი ალ. გაჩეჩილაძე.

პროვინცია

ს. ველისციხე, 25 მაისს შესდგა ს. ველისციხის და მუკუზანის თემის ხმოსანთა პირველი კრება. არჩეული არის სულ 20 ხმოსანი, 17 სოც. დემოკრატი და 3 სოც. ფედერ. კრებაზე გამოცხადდა 17 ხმოსანი. კრებას დაესწრო სამაზრო ერობის გამგეობის წევრი ამხ. იოსებ კრაწაშვილი; საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ვლ. რუხაძე. მის ამხანაგათ—პეტრე ქარასაშვილი და მდივნათ ლადო ძეძამიძე. შემდეგ ამისა ამხ. კრაწაშვილმა განუმარტა ხმოსნებს თუ რა დიდი მოვალეობა აკისრიათ მათ, როგორც მთავრობის და რესპუბლიკის წინაშე, აგრეთვე იმ საზოგადოების წინაშე, რომელმაც ისინი ამოირჩია. გამგეობაში აირჩიეს სამი კაცი, თავმჯდომარეთ ამხანაგი მნაცაკან ისაკოვი, წევრებათ მიშა შალიაშვილი და ნიკო სხირტლაძე. არჩევნების შემდეგ იყო წაკითხული დეკლარაცია სოციალ-დემოკრ. და სოციალ-ფედერ. მხრით. დეკლარაციის შემდეგ კრებამ განიხილა რამოდენიმე საკითხები და სიგვიანის გამო გადაიდო მეორე დღისათვის. 26 საღამოს შესდგა მეორე კრება. ამ კრებაზე არჩეულ იქნა მილიციის უფროსი და ერთხმათ აირჩიეს ამხ. სოსო გოძიაშვილი (თელავის მაზრის მილიციის უფროსი). და აგრეთვე განსაზღვრეს მილიციონერთა შტატი. ამის შემდეგ არჩეულ იქნა სხვადასხვა კომისიები მაგ., სარევიზიო, ფინანსთა, სასანიტარო, სასკოლო, საამშენებლო და სამეურნეო. ამით დამთავრდა ორი დღის კრება.

ვრ.

ცნობები

ჯარისკაცი დავით მიხეს ძე ლილონტი მსახურობდა მე-10 კავკასიის პოლკში. ქალ. ლვოვის აღების დროს ის წაიყვანეს ტყვეთ და იმყოფებოდა ავსტრიაში. ორ წელზე მეტია მისგან ცნობა არ მიგვიღია. მშობლები სთხოვს ყველა იმ პირებს, ვინც ავსტრიიდან დაბრუნდნენ, თუ იციან რაიმე მის შესახებ, აცნობონ ქალ. ლანჩხუთში ქიშვარდი ლილონტს.

განცხადებანი

(I—8)

[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]

პარასკევს, 20 ივნისს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში დანიშნულია საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა

საზოგადო კრება

მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნ. რამიშვილი.

(2—1)

დოქტორი მ. ბოლდიზაშვილი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავათმყოფობანი. ამოარჩევს სათვალეებს. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი ლ. მ. ჯავახიშვილი
გადმოვიდა ახალ ბინაზე და იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს დილის 8—9 ს. და საღამოს 4—7 საათ.-მდე. მიხეილის პროსპექტი № 64 ტელეფონი 14—6.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, ბავშვთა და ქალურ სნეულებით ავათმყოფებს დღისით 12—2 ს. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმონაშვილის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე მახარაძე
იღებს სტაციონალურად—ამბულატორიით (ლოგინი და მისთ. მოვლილებით) სისხლის ნაკლულოვანება, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მიხაკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ლ. ა. ხარაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი მ. შ. მჟავანაძე
ქალისა და [illegible] ავადმყოფებს ს მიიღებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათ., [illegible] ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი ქალი ა. ბ. შიშლო-ხაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ციურიხის მეანეური ქლინიკის [illegible]. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და [illegible] მშობიარობის შემდეგ [illegible]. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი ლ. ი. ცაგარელი
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავათმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **ბ. ბ. შიშარაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობანი, ქლექისა და გულისა, იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი [illegible] და არსენიკის [illegible] ავადმყოფების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. [illegible] ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. [illegible] ქ. № 28, ტელეფ. 7—92.

ექიმი ი. ბ. ხამატოვა
განაახლა მიღება ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავათმყოფებისა. ავათმყოფებს იღებს დილის 8—10 და საღამოს 5—7 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩა № ტელ. 4—15.

ექიმი ბ. ა. შუშანია
ვენერიული სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606“ და „914“), [illegible] (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს [illegible] საათამდე. [illegible] დილით. მისამ: [illegible] ქ. № 33.

ექიმი გ. ი. ხარაზიანი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე. ბინა ოლღას ქუჩა № 24, ტელეფ. 1—85

ექიმი ლ. ი. ჯაფარიძე
ლეჩულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 [illegible] ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

კბილის ექიმი **ათანასე პავლეს ძე ჭურუშაძე**
ლეჩულობს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—1 და საღამოს 4—7 საათ. გოლოვინის პროსპ. 34. ტელ. 10—81.

ექ. ძ. თ. ტატიშვილისა
საექიმო კაბინეტი. ვენერიული, კანის, სიფილ. (606 და 914 შესხაპუნება) და სხვა ავათმყოფობანი საშარდე და სასქესო ორგანოთა. ფოსტის ახლოს, კუთხე მიხაილოვის (№ 55) და ბელაიას (№ 1) ქუჩებისა შესავალი აფთიაქის პირდაპირ საღამოობით 5 ნახ.—7 საათ.

21 და 22 ივნისს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების [illegible] ობოლ ბავშვთა თავშესაფარის ს სარგებლოდ გაიმართება

ყულაბებით ფულის შეგროვება

ამ საქმის მეთაურნი თხოვენ თანამგრძნობ დამხმარეებს, როგორც [illegible], ისე თავის შრომითაც, ვისაც ობოლი უმწეო ბავშვები ებრალება და სურს დახმარება ჩამოვიდნენ პარასკევს 20 ივნისს დილის 10 ს. საღამოს 8 ს. ჯანმრთელთა დამხმარე კომიტეტის ბინაზე გოლოვინის პროსპექტი № 24.

(2—1)

განცხადება

თბილისის სასტუმროების, სასადილოების, რესტორანების, [illegible] თახების და სხვათა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ

საგანგებო კრება

არის დანიშნული [illegible] ამა ივნისს დილის [illegible] საათზე, ქართულ კლუბში, სასახლის ქუჩაზე. კრება კანონიერი არის და შესდგება რამდენიც წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. განსახილველი საგნები: 1, არჩევნები II-ს გამგეობის წევრისა და მათის კანდიდატებისა 2, არჩევნები 4 ს სარევიზიო წევრის და მათის კანდიდატებისა.

თავმჯდომარე გამგეობისა დ. [illegible] მდივანი გამგეობისა ი. რაზმაძე.

განცხადება

სენაკის რაიონის კოოპერატივთა საყურადღებოთ.

25 ივნისს ახალ-სენაკში; სენაკის რაიონული კოოპერატივთა კავშირი მართავს ორ-კვირეულ კოოპერატიულ კურსებს, სადაც მიწვეულ კოოპერატივებმა უნდა გამოგზავნონ თავიანთი მსმენელები. პირობები მსმენელთათვის შემდეგია: ბინა მსმენელებს ეძლევათ უფასოთ, მხოლოდ დღიური სარჩოსათვის ყოველი კოოპერატივი თავისი გამოგზავნილი მსმენელს აძლევს 20 მანეთს ე. ი. 15 დღეში 300 მანეთს და უგზავნის გზის ფულს.

სენაკის რაიონის კოოპერატ. კავშირის გამგეობა.

(4—3)

[illegible] სტამბა [illegible], გამბედის შესახვევი, № 1.